

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ჟენევის მორაპარაკების შედეგებზე



საქართველოს
საგარეო საქმეთა
სამინისტრო
ჟენევის
საერთაშორისო
მორაპარაკებების
44-ე რაუნდთან
დაკავშირებით
ოფიციალურ
განცხადებას
ავრცელებს .

საგარეო უწყების ინფორმაციით, 20 ივნისს გამართულ ჟენევის საერთაშორისო მორაპარაკებების 44-ე რაუნდის ფარგლებში განსაკუთრებული სიმწვავეთ დაისვა არჩიდ ტატუნაშვილის მკვლელობის საქმეზე მართლმსაჯულების აღსრულებისა და რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების აუცილებლობა. ქართული მხარის წარმომადგენლებმა რუსეთის ფედერაციას მოუწოდეს რგანოების დაუყოვნებლივ გადმოცემისკენ, რათა შესაძლებელი გახდეს ექსპერტიზის სრულყოფილად ჩატარება.

მორაპარაკებებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამავლობით დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შეუსრულებლობაზე. საქართველოს წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს რუსეთის მიერ ძალის გამოუყენებლობის ვადდებულების დადასტურების და შესრულების აუცილებლობას.

„ამ ფონზე რუსეთის ფედერაცია ჩვეური ცინიზმით შეეცადა წარმოეჩინა, თითქოს მას უკვე შესრულებული აქვს ცეცხლის

შენწყვეტის შეთანხმება. მოღაპარაკებებზე აქცენტი გაკეთდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე წვდომის აუცილებლობაზე. ასევე საუბარი შეეხო რუსული მხარის პროვოკაციულ ქმედებებს, რაც კიდევ უფრო აბრკოლებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის განხორციელებას”, – ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ასევე აღნიშნავს, რომ ოკუპირებულ რეგიონებში ქართველების ეთნიკური დისკრიმინაციის გაძლიერება განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა ორივე სამუშაო ჯგუფში.

„საქართველოს წარმომადგენლებმა ეთნიკური წმენდის გაგრძელებად შეაფასეს აფხაზეთის რეგიონის მკვიდრი ქართველი მოსახლეობის იძულება უცხოელებად დარეგისტრირებაზე და მათი ფუნდამენტური უფლებების, მათ შორის, საკუთრების უფლების შემდგომი შეზღუდვა. შეშფოთება გამოითქვა აგრეთვე გარისა და ახადგორის რაიონებში ქართულ ენაზე განათლების მიღების აკრძალვის მიძიმე შედეგებთან დაკავშირებით.

თანათავმჯდომარეებმა და მონაწილეებმა აშშ-დან და საქართველოდან ყურადღება გაამახვილეს ჟენევის საერთაშორისო მოღაპარაკებების ერთ-ერთ უმთავრეს საკითხზე – იძულებით გადაადგილებულ პირთა და დტორვირთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებაზე საგნობრივი მოღაპარაკებების აუცილებლობაზე. მოღაპარაკებების წინა დღეს გაიმართა საინფორმაციო სესია თემაზე: „კონფლიქტთან დარეგულირების პროცესებში დამკვიდრებული პრაქტიკა და პრინციპები“, – ნათქვამია განცხადებაში.

ჟენევის მოღაპარაკებების 44-ე რაუნდი 19-20 ივნისს გაიმართა. მოღაპარაკებების შედეგები შეაფასა რუსეთის საგარეო უწყებამ. მარტის ბოლოს ჟენევაში მოღაპარაკების 43-ე რაუნდი გაიმართა, თუმცა მხარეებმა ერთობრივ განცხადებაზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. მომდევნო შეხვედრა მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართება.